სადოქტორო პროგრამის დასახელება: აღმოსავლეთმცოდნეობა

სპეციალობებში: არაბული ენა და არაბული ლიტერატურა
სპარსული ენა და სპარსული ლიტერატურა
თურქული ენა და თურქული ლიტერატურა

სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი: სრული პროფესორი აპოლონ სილაგაძე
დოქტორანტთა ხელმძღვანელებად სადოქტორო პროგრამაში გამოსაცხადებელი სპეციალობების მიხედვით ჩართულნი არიან თსუ შესაბამისი აკადემიური პერსონალი და რიგ კონკრეტულ შემთხვევაში მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:
სადოქტორო პროგრამა ორიენტალისტიკაში არის ინტერდისციპლინარული-მოიცავს ორიენტალისტიკის დარგის ფარგლებში შემავალი სპეციალობების პრობლემატიკას. სადოქტორო პროგრამის კვლევისა და სამეცნიერო ინტერესთა სფერო საკმაოდ ვრცელია და მოიცავს აღმოსავლური ფილოლოგიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის მრავალ ასპექტს. კერძოდ, ლინგვისტურ (მორფოლოგიურ-სინტაქსურ) და ლექსიკოლოგიურ (სემანტიკურ-ეტიმოლოგიურ), შუა საუკუნეების და თანამედროვე აღმოსავლური პოეზიისა და პროზის, ლიტერატურის ისტორიის და თეორიის, პოეტიკის, ვერსიფიკაციის საკითხებს, ყურანისა და ისლამოლოგიის, აგრეთვე ტექსტოლოგიის, პალეოგრაფია-ეპიგრაფიკის, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ისტორიის, მათი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების პრობლემატიკას.

ეს მიმართულებები ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სამეცნიერო სკოლის კვლევის ტრადიციული მიმართულებებია და მსოფლიო ორიენტალისტიკური ცენტრებისთვისაც საკმაოდ აქტუალური. ამის გამო გასული ათწლეულის მანძილზე ამ მიმართულებით ბევრი ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნე ამზადებდა თავის საკვალიფიკაციო ნაშრომს. ნაწილი მათგანი - თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომლებიც ამ მიმართულებით იმაღლებდნენ თავიანთ კვალიფიკაციას, საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის გამო, ელოდებიან მათ მიერ ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის დასრულებას და ოფიციალურ განხილვას. წინამდებარე ინდივიდუალური სადოქტორო პროგრამა განკუთვნილია სწორედ ამ კატეგორიის ასპირანტებისა და მაძიებლების სამეცნიერო პრობლემატიკაზე მუშაობის დასასრულებლად.

წინამდებარე სადოქტორო პროგრამა მოიცავს ორიენტალისტიკის სხვადასხვა სფეროს პროგრამებს, კერძოდ, ესენია: არაბული და სემიტური ენები, არაბული ლიტერატურის ისტორია, სპარსული ენა, სპარსული ლიტერატურის ისტორია, თურქული ენა, თურქული ლიტერატურის ისტორია, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ისლამის ისტორია, არმენოლოგია, ასირიოლოგია და სხვ.

პროგრამა შეინარჩუნებს და გააძლიერებს ქართული ორიენტალისტიკური სამეცნიერო სკოლის ტრადიციებს და მოამზადებს დოქტორებს როგორც საკუთრივ ორიენტალისტიკური, ისე ქართველოლოგიური კვლევებისთვის.
საქართველოში აღმოსავლეთმცოდნეობას ყოველთვის ჰქონდა ეს ნიშანი- მისი საკვლევი პრობლემატიკა უშუალო და მჭიდრო კავშირში იყო ქართველოლოგიურ პრობლემატიკასთან.

სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:
სადოქტორო პროგრამა გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების ყოფილი მაძიებლებისა და ასპირანტებისათვის, რომლებზეც ვრცელდება თსუ "დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესახებ დადგენილების" გარდამავალი დებულებები, კერძოდ:
წინამდებარე სადოქტორო პროგრამით დოქტორანტურაში შეიძლება ჩაირიცხონ თსუ ყოფილი ასპირანტები და მაძიებლები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ საკანდიდატო მინიმუმის ყველა საგანი და აქვთ დამტკიცებული (და პრაქტიკულად დასრულებული) საკანდიდატო თემა ორიენტალისტიკის დარგის ზემოთ ჩამოთვლილ სპეციალობებში.
კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- საკანდიდატო მინიმუმების ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- რომელიმე ევროპული ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული ან რუსული) B-2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მაძიებელს მოეთხოვება გამოცდის ჩაბარება უცხო ენაში ზემოთ აღნიშნული ცოდნის დონის შესაბამისი ფორმატით.

დოქტორანტის დასაქმების სფეროები:

- ყველა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და სამეცნიერო პროექტში;
- ყველა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა შესაბამის დეპარტამენტებში;
- საქართველოს და საზღვარგარეთის სამეცნიერო ბიბლიოთკებში;
- საგამომცემლო და პერიოდული პრესის რედაქციებში მთარგმნელად და სტილისტად
- მასმედიის ყველა მიმართულებით, ექსპერტად და კონსულტანტად;

სამთავრობო და კერძო სტრუქტურების მეცნიერ-ექსპერტად;

სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტს აქვს გარდამავალი ეტაპის დოქტორანტებისთვის სათანადო ტექნიკურ-მატერიალური ბაზა. დოქტორანტს შეუძლია ისარგებლოს: ყოფილი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ბიბლიოთეკით (თსუ V კორპუსი), თსუ ინტერნეტული მომსახურების ცენტრით, ცალკეულ შემთხვევაში აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შესაბამისი დეპარტამენტების კაბინეტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

საჭიროების შემთხვევაში სადოქტორო თემების მასალების სრულყოფისთვის დოქტორანტებს შეუძლიათ ჩაეწერონ მოკლევადიანი სტაჟირების პროგრამებზე, რომლებსაც აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულების შესაბამისი სასწავლო პროგრამები უზრუნველყოფენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების საელჩოების დახმარებით (ყოველი ასეთი კონკრეტული შემთხვევა ინდივიდუალურ განხილვას საჭიროებს).

დოქტორანტების რაოდენობა - არსებული რესურსებიდან გამომდინარე, შესაძლებელია 7 დოქტორანტის მიღება.

პროგრამაში ჩართული იქნებიან შემდეგი პროფესორები:
სრული პროფ. **აპოლონ სილაგაძე**;
სრული პროფ. **მარიკა ჯიქია;**

სრული პროფ. **გიული ალასანია,**
სრული პროფ. **ზაზა ალექსიძე;**
სრული პროფესორი **გიორგი სანიკიძე;**
ასოცირ. პროფ. **მანანა კვაჭაძე**
პროფ. **ჯემშიდ გიუნაშვილი**
ფილ. მეცნ. კანდ. **ფატი ანთაძე;**
ასოცირებული პროფ. **ნანა გელოვანი;**
ფილ. მეცნ. კანდ. **მზია ბურჯანაძე;**
პროფ. მერაბ ტიკაძე,
ასოცირ. პროფ. **მაია ღამბაშიძე.**